

დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტი 4400

(ყოფილი ასს 920)

გარიგებები ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე

(ეს სტანდარტი ძალაშია)

შინაარსი

	პუნქტები
შესავალი	1-3
შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგების მიზანი	4-6
შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგების ზოგადი პრინციპები	7-8
გარიგების პირობების დადგენა	9-12
დაგეგმვა	13
დოკუმენტაცია	14
პროცედურები და მტკიცებულებები	15-16
ანგარიშის წარდგენა	17-18
1-ლი დანართი: აუდიტორული გარიგების წერილის ნიმუში შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგებისთვის	
მე-2 დანართი: დასკვნის ნიმუში მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილ ვალდებულებებთან დაკავშირებული აღმოჩენილი ფაქტობრივი მონაცემების შესახებ	

დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტი (დმსს) 4400 - `გარიგებები ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე` - განხილულ უნდა იქნეს `ხარისხის კონტროლის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო დოკუმენტების წინასიტყვაობასთან` - ერთად.

შინაარსი

1. წინამდებარე დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის (დმსს) მიზანია სტანდარტებისა და მითითებების დადგენა აუდიტორის¹ პროფესიულ პასუხისმგებლობაზე ფინანსურ ინფორმაციასთან მიმართებით შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე აუდიტორული გარიგების დროს, აგრეთვე იმ დასკვნის ფორმასა და შინაარსზე, რომელსაც წარადგენს აუდიტორი ამგვარი გარიგების დროს.
2. ეს სტანდარტი ეხება ფინანსურ ინფორმაციაზე გარიგებას. თუმცა მისი გამოყენება შესაძლებელია არაფინანსურ ინფორმაციაზე გარიგების დროსაც, თუ აუდიტორს გამოსაკვლევი საკითხის შესახებ გააჩნია ადეკვატური ცოდნა და არსებობს დასაბუთებული კრიტერიუმი, რომელსაც დაეყრდნობა მის მიერ მოპოვებული მონაცემები. ეს სტანდარტი წაკითხულ უნდა იქნეს მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტრუქტურულ საფუძვლებთან ერთად. მოცემული სტანდარტის გამოყენებისას აუდიტორისათვის შეიძლება სასარგებლო იყოს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ხელმძღვანელობაც.
3. გარიგებამ შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე შესაძლოა აუდიტორისაგან მოითხოვოს ფინანსური მონაცემების ცალკეულ მუხლებზე (მაგალითად, მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილი ვალდებულებების ანგარიშები, მოთხოვნების ანგარიშები, დაკავშირებული მხარეებიდან შესყიდვები, სამეურნეო სუბიექტის რომელიმე სეგმენტის გაყიდვა და მოგება), ფინანსური ანგარიშგების რომელიმე კომპონენტზე (მოგებისა და ზარალის ანგარიშგება) ან მთლიან ფინანსურ ანგარიშგებაზე გარკვეული აუდიტორული პროცედურების ჩატარებაც კი.

შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგების მიზანი

4. შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგების მიზანია აუდიტორმა ჩატაროს ისეთი აუდიტორული პროცედურები, რომლებზეც აუდიტორი, სამეურნეო სუბიექტი და რომელიმე შესაფერისი მესამე მხარე იყვნენ შეთანხმებულები, და წარადგინოს ანგარიში აღმოჩენილ ფაქტებზე.
5. რადგან აუდიტორი უბრალოდ წარადგენს დასკვნას შეთანხმებული პროცედურების ჩატარებისას აღმოჩენილ ფაქტებზე, იგი არავითარ რწმუნებას არ გამოხატავს. სამაგიეროდ ანგარიშის მომხმარებლები თვითონ აფასებენ აუდიტორის მიერ დასკვნაში წარდგენილ პროცედურებსა და აღმოჩენილ ფაქტებს და აუდიტორის მიერ შესრულებული სამუშაოდან გამომავალ საკუთარი დასკვნები.
6. დასკვნა შეზღუდულია იმ მხარეებთან მიმართებით, რომლებთანაც შეთანხმებული იქნა პროცედურები, რადგან მათ, ვინც არ იცინა პროცედურების ჩატარების მიზეზები, შეიძლება არასწორი ინტერპრეტაცია მისცენ შედეგებს.

შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგების ზოგადი პრინციპები

7. აუდიტორი უნდა იცავდეს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემულ *„პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსს“*. ამ ტიპის გარიგებისთვის პროფესიული მოვალეობების განმსაზღვრელი ეთიკური პრინციპებია:
 - ა) პატიოსნება,
 - ბ) ობიექტურობა,
 - გ) პროფესიული კომპეტენცია და სათანადო გულისხმიერება,

¹ აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემულ დოკუმენტებში ტერმინი „აუდიტორი“ გამოიყენება ყოველთვის, როდესაც საუბარია აუდიტზე, მიმოხილვაზე, სხვა მარწმუნებელ და დაკავშირებულ მომსახურებაზე. ასეთი ციტირება არ გულისხმობს, რომ პიროვნება, რომელიც ატარებს მიმოხილვას, სხვა მარწმუნებელ ან დაკავშირებულ მომსახურებას აუცილებლად უნდა იყოს სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორი.

- დ) კონფიდენციალობა,
- ე) პროფესიული ქცევა და
- ვ) ტექნიკური სტანდარტები.

დამოუკიდებლობა შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგების მოთხოვნა არ არის; მიუხედავად ამისა, გარიგების პირობებით ან მიზნებით, ან ეროვნული სტანდარტებით აუდიტორს შესაძლოა მოეთხოვებოდეს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის მოთხოვნების დაცვა დამოუკიდებლობის შესახებ. თუ აუდიტორი არ არის დამოუკიდებელი, ამის შესახებ უნდა აღინიშნოს აღმოჩენილი ფაქტების შესახებ დასკვნაში.

- 8. აუდიტორმა შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგება უნდა წარმართოს წინამდებარე დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტისა და გარიგების პირობების შესაბამისად.

გარიგების პირობების დადგენა

- 9. ჩვეულებრივ აუდიტორმა სამეურნეო სუბიექტის წარმომადგენლებთან და სხვა კონკრეტულ მხარეებთან ერთად, რომლებიც მიიღებენ აღმოჩენილი ფაქტების შესახებ დასკვნის ასლებს, უნდა უზრუნველყოს იმის გარანტია, რომ შეთანხმებულ პროცედურებსა და გარიგების პირობებთან დაკავშირებით ყველაფერი ნათლად არის გარკვეული. შესათანხმებელ საკითხებში უნდა შედიოდეს:
 - გარიგების ხასიათისა და იმ ფაქტის დაფიქსირება, რომ ჩატარებული პროცედურები არ წარმოადგენს აუდიტს და არც მიმოხილვას და, შესაბამისად, არანაირი რწმუნების (გარანტიის) გამოხატვას არ ექნება ადგილი;
 - გარიგების მიზნის ფორმულირება;
 - იმ ფინანსური ინფორმაციის მითითება, რომლის მიმართაც გამოყენებული იქნება შეთანხმებული პროცედურები;
 - ჩასატარებელი კონკრეტული პროცედურების ხასიათის, ვადებისა და მოცულობის აღწერა;
 - აღმოჩენილი ფაქტების შესახებ დასკვნის სავარაუდო ფორმის აღწერა;
 - აღმოჩენილი ფაქტების შესახებ დასკვნის გავრცელების შეზღუდვა. როდესაც ასეთი შეზღუდვები წინააღმდეგობაში მოვა კანონმდებლობის მოთხოვნებთან, აუდიტორი არ უნდა დაეთანხმოს გარიგებას.
- 10. ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, როდესაც პროცედურები შეთანხმებულია სათანადო მარეგულირებელი ორგანოების, დარგის წარმომადგენლებსა და ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიის წარმომადგენლებს შორის, აუდიტორმა შეიძლება ვერ შეძლოს პროცედურების განხილვა ყველა მხარესთან, რომელთაც უნდა მიიღონ მისი დასკვნა. ასეთ შემთხვევებში აუდიტორს შეუძლია საჭიროდ ჩათვალოს, რომ, მაგალითად, გამოსაყენებელი პროცედურების შესახებ იმსჯელოს გარიგებაში მონაწილე მხარეთა შესაფერის წარმომადგენლებთან, განიხილოს ამ მხარეებისაგან მიღებული სათანადო წერილი ან გაუგზავნოს მათ წარსადგენი დასკვნის ტიპის პროექტი.
- 11. ორივეს, დამკვეთსაც და აუდიტორსაც, აინტერესებს, რომ აუდიტორმა გააგზავნოს გარიგების წერილი, რომელშიც დოკუმენტურად გაფორმდება დანიშვნის ძირითადი პირობები. გარიგების წერილი ადასტურებს აუდიტორის თანხმობას დანიშვნის პირობებზე და ხელს უწყობს იმას, რომ თავიდან იქნეს აცილებულ გაუგებრობა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა: გარიგების მიზნები და მასშტაბი, აუდიტორის პასუხისმგებლობის ხარისხი და წარსადგენი დასკვნის ფორმა.
- 12. გარიგების წერილში შეტანილი უნდა იქნეს შემდეგი საკითხები:
 - შესასრულებელი პროცედურების ჩამონათვალი ისე, როგორც შეთანხმებული იქნება მხარეთა შორის;

- იმის აღნიშვნა, რომ აღმოჩენილ ფაქტებზე დასკვნის გავრცელება უნდა შეიზღუდოს იმ კონკრეტული მხარეებით, რომლებიც შეთანხმდნენ პროცედურების ჩატარებაზე.
- გარდა ამისა, აუდიტორმა შეიძლება გარიგების წერილს დაურთოს აღმოჩენილ ფაქტებზე წასადგენი დასკვნის ტიპის პროექტი. გარიგების წერილის ნიმუში მოცემულია სტანდარტის 1-ელ დანართში.

დაგეგმვა

13. აუდიტორმა ისე უნდა დაგეგმოს სამუშაო, რომ შესრულდეს მოქმედი გარიგება.

დოკუმენტაცია

14. აუდიტორმა დოკუმენტურად უნდა გააფორმოს ის საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია აღმოჩენილ ფაქტებზე წარსადგენი დასკვნის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოსაპოვებლად, აგრეთვე მტკიცებულება იმის შესახებ, რომ გარიგება შესრულდა წინამდებარე დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტისა და გარიგების პირობების შესაბამისად.

პროცედურები და მტკიცებულებები

15. აუდიტორმა უნდა შეასრულოს შეთანხმებული პროცედურები და მოპოვებული მტკიცებულებები გამოიყენოს აღმოჩენილ ფაქტებზე წარსადგენი დასკვნის საფუძველად.
16. შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგების დროს შესაძლებელია შემდეგი პროცედურების გამოყენება:
- გამოკითხვა და ანალიზი;
 - ხელახალი გამოთვლა, შედარება და სხვა ტექნიკური შესრულების სიზუსტის შემოწმება;
 - დაკვირვება;
 - დათვალიერება;
 - დასტურის მოპოვება.

სტანდარტის მე-2 დანართში მოცემულია დასკვნის ნიმუში, რომელიც შეიცავს პროცედურების სანიმუშო ჩამონათვალს; ეს პროცედურები შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც შეთანხმებული პროცედურების ტიპური გარიგების ერთი ნაწილი.

ანგარიშის წარდგენა

17. შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგების დასკვნაში გარიგების მიზანი და შეთანხმებული პროცედურები საკმაოდ დეტალურად უნდა იყოს აღწერილი, რათა მკითხველმა შეძლოს შესრულებულ სამუშაოს ხასიათისა და მოცულობაში გარკვევა.
18. აღმოჩენილ ფაქტებზე წარსადგენი დასკვნა უნდა შეიცავდეს
- ა) სათაურს;
 - ბ) ადრესატს (ჩვეულებრივ დამკვეთი, ვინც აუდიტორი დაიქირავა შეთანხმებული პროცედურების შესასრულებლად);
 - გ) კონკრეტული ფინანსური ან არაფინანსური ინფორმაციის იდენტიფიკაციას, რომლისთვისაც გამოიყენეს შეთანხმებული პროცედურები;
 - დ) იმის აღნიშვნას, რომ შესრულებული პროცედურები შეთანხმებული იყო დასკვნის მიმღებთან;
 - ე) იმის დაფიქსირებას, რომ გარიგება შესრულებულია იმ დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის ან ეროვნული სტანდარტებისა თუ პრაქტიკის შესაბამისად, რომლებიც მისაღებია შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგებისთვის;

- ვ) საჭიროების შემთხვევაში იმის აღნიშვნას, რომ აუდიტორი არ არის დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტისაგან;
- ზ) იმ მიზნის მითითებას, რისთვისაც ჩატარდა შეთანხმებული პროცედურები;
- თ) შესრულებული კონკრეტული პროცედურების ჩამონათვალს;
- ი) აუდიტორის მიერ აღმოჩენილი ფაქტების აღწერას, მათ შორის ნაპოვნი შეცდომებისა და სადაო საკითხების დეტალურ აღწერას;
- კ) იმის აღნიშვნას, რომ აუდიტორის მიერ შესრულებული პროცედურები არ წარმოადგენს არც აუდიტს, და არც მიმოხილვას, ამიტომაც არავითარი გარანტიის (რწმუნების) გამოხატვა არ ხდება;
- ლ) იმის აღნიშვნას, რომ, თუ აუდიტორი ჩატარებდა დამატებით პროცედურებს, აუდიტს ან მიმოხილვას, შესაძლოა გამოვლინდებოდა სხვა ისეთი საკითხებიც, რაზედაც საჭირო იქნებოდა ანგარიშის გაკეთება;
- მ) იმის მითითებას, რომ დასკვნა შეზღუდულად განკუთვნილია იმ მხარეთათვის, რომლებიც შეთანხმდნენ პროცედურების შესრულებაზე;
- ნ) საჭიროების შემთხვევაში იმის აღნიშვნას, რომ დასკვნა ეხება მხოლოდ ცალკეულ ელემენტებს, ანგარიშებს, საკითხებს ან კონკრეტულ ფინანსურსა თუ არაფინანსურ ინფორმაციას და არ ვრცელდება სამეურნეო სუბიექტის მთლიან ფინანსურ ანგარიშგებაზე;
- ო) დასკვნის დაწერის თარიღს;
- პ) აუდიტორის მისამართს და
- ჟ) აუდიტორის ხელმოწერას.

წინამდებარე დმსს-ის მე-2 დანართში მოცემულია აღმოჩენილ ფაქტებზე წარსადგენი დასკვნის ნიმუში, რომელიც ეხება ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებული შეთანხმებული პროცედურების გარიგებას.

სახელმწიფო სექტორის პერსპექტივა

1. სახელმწიფო სექტორში ამგვარი დასკვნა შესაძლოა არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ იმ მხარეებით, რომლებიც შეთანხმდნენ პროცედურების ჩატარებაზე, არამედ შესაძლოა დასკვნა ხელმისაწვდომი იყოს სამეურნეო სუბიექტების უფრო ფართო წრისა და მასებისათვის (მაგალითად, პარლამენტის მიერ ჩატარებული გამოკვლევა სახელმწიფო სექტორის რომელიმე სამეურნეო სუბიექტის ან სამთავრობო ორგანიზაციის შესახებ).
2. აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფო სექტორის უფლებამოსილება მნიშვნელოვნად განსხვავებულია და საჭიროა წინდახედულების გამოჩენა, რათა გარიგებები, რომლებიც ნამდვილად შეთანხმებულ პროცედურებს შეეხება, განვასხვავოთ იმ გარიგებებისაგან, რომლებიც მიიჩნევა ფინანსური ანგარიშგების აუდიტად, მაგალითად, საქმიანობის შედეგების შესახებ დასკვნები.

1-ლი დანართი

აუდიტორული გარიგების წერილის ნიმუში შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგებისთვის

შემდეგი წერილი გამოიყენება მოცემული დმსს-ის მე-9 პუნქტის თვალსაჩინოებისთვის და არ არის გამიზნული იმისთვის, რომ მიიჩნიონ წერილის სტანდარტად. გარიგების წერილი უნდა იცვლებოდეს ინდივიდუალური მოთხოვნებისა და ვითარების შესაბამისად.

დირექტორთა საბჭოს ან დამკვეთის სხვა შესაბამის წარმომადგენლებს, ვინც დაიქირავა აუდიტორი:

ამ წერილით ვადასტურებთ, რომ ჩვენთვის გასაგებია გარიგების პირობები, მიზანი, აგრეთვე ჩვენს მიერ შესასრულებელი მომსახურების ხასიათი და მოცულობა. ჩვენი საქმიანობა წარმართება დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის (ან შესაბამისი ეროვნული სტანდარტებისა თუ პრაქტიკის) შესაბამისად, რომელიც გამოიყენება შეთანხმებული პროცედურების გარიგებისათვის, რაც აღნიშნული იქნება ჩვენს დასკვნაშიც.

ჩვენ შევთანხმდით შემდგომი პროცედურების შესრულებაზე და იმაზე, რომ წარმოგიდგინოთ დასკვნა ჩვენი საქმიანობის შედეგად აღმოჩენილი ფაქტობრივი მონაცემების შესახებ:

(აღწერეთ შესასრულებელი პროცედურების ხასიათი, ვადები და მოცულობა, საჭიროების შემთხვევაში ფაქტებიც მოიშველიეთ, მაგალითად, მიუთითეთ ის მონაცემები და დოკუმენტაცია, რომლის გაცნობასაც აპირებთ, აგრეთვე ის ცალკეული პირები და მხარეები, რომელთაც უნდა დაუკავშირდეთ დასტურის მისაღებად).

პროცედურები, რომელთა ჩატარებასაც ჩვენ ვაპირებთ, გამიზნულია მხოლოდ თქვენს დასახმარებლად (მიუთითეთ გარიგების მიზანი). ჩვენი დასკვნა არ უნდა გამოიყენონ სხვა მიზნებისთვის. ეს ინფორმაცია განკუთვნილია მხოლოდ თქვენთვის.

პროცედურები, რომლის ჩატარებასაც ვაპირებთ, არაა განკუთვნილი არც აუდიტისთვის და არც მიმოხილვისთვის, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ან მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტების (ან შესაბამისი ეროვნული სტანდარტებისა თუ პრაქტიკის) შესაბამისად და ამდენად არც გარანტიის (რწმუნების) გამოხატვას ექნება ადგილი.

მოუთმენლად ველით თანამშრომლობას თქვენს პერსონალთან და ვიმედოვნებთ, რომ ისინი ჩვენთვის ხელმისაწვდომს გახდიან ყველა მონაცემს, დოკუმენტაციასა და სხვა ინფორმაციას, რომელსაც მოვითხოვთ გარიგებასთან დაკავშირებით.

ჩვენი გასამრჯელო, რომელსაც ანგარიშფაქტურის სახით წარმოგიდგენთ სამუშაოს მიმდინარეობასთან ერთად, დამოკიდებული იქნება იმ დროზე, რომელიც დასჭირდებათ ამ საქმეში დაკავებულ პირებს, აგრეთვე იმ ყოველდღიურ ხარჯებზე, რომელსაც გაგწევთ. ცალკეული საათობრივი განაკვეთები განსხვავდება პასუხისმგებლობის ხარისხის, გამოცდილებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.

გთხოვთ ხელი მოაწეროთ და დაგვიბრუნოთ ამ წერილის ასლი იმის დასტურად, რომ იგი შეესაბამება თქვენს თვალსაზრისს გარიგების პირობების შესახებ, მათ შორის იმ კონკრეტული პროცედურების შესახებ, რომელთა ჩატარებაზეც შევთანხმდით.

XYZ და კომპანია

კომპანიის სახელით ვადასტურებ

ხელმოწერა

სახელი, გვარი, თანამდებობა

თარიღი

მე-2 დანართი

დასკვნის ნიმუში მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილ ვალდებულებებთან დაკავშირებული აღმოჩენილი ფაქტობრივი მონაცემების შესახებ

დასკვნა აღმოჩენილ ფაქტობრივ მონაცემებზე

(ვინც აუდიტორი დაიქირავა) ...თვის

ჩავატარეთ თქვენთან შეთანხმებული პროცედურები ...კომპანიის მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილ ვალდებულებებთან დაკავშირებული მონაცემების ჩამონათვალი ... დღისათვის დაერთვის დასკვნას დანართის სახით (დანართი ამ ნიმუშში მოცემული არ არის). გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურების იმ საერთაშორისო სტანდარტის (ან ეროვნული სტანდარტებისა თუ პრაქტიკის) მიხედვით, რომელიც ეხება შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგებას. პროცედურები შესრულებულია მხოლოდ იმისათვის, რომ დაგეხმაროთ მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილი ვალდებულებების სისწორის შეფასებაში და შეჯამებულია შემდეგნაირად:

1. ჩვენ მივიღეთ და შევამოწმეთ ... კომპანიის მიერ მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილი ვალდებულებების ანგარიშები ... დღისათვის. საცდელი ბალანსის მატების თანხა და მთლიანი ჯამი შევადარეთ მთავარი წიგნის შესაბამისი ანგარიშის ნაშთთან.....
2. შევადარეთ მთავარ მომწოდებელთა თანდართული სია (ამ ნიმუშში არ არის მოცემული) და ცალკეული მომწოდებლების დავალიანების თანხები ... დღისათვის საცდელი ბალანსის თანხებთან.
3. მივიღეთ მომწოდებლების დასტური მათი კუთვნილი ნაშთების შესახებ ... დღისათვის.
4. ჩვენ შევუდარეთ ეს უწყისები ან მიღებული დასტურები მე-2 პუნქტში აღწერილ თანხებს. იმ თანხებზე, რომლებიც არ ედრებოდა ერთმანეთს, მივიღეთ შედარების უწყისები ...კომპანიისაგან. შედარების უწყისისათვის ჩვენ დავადგინეთ გაუნაღებელი ანგარიშფაქტურები და შევადგინეთ ყველა გაუნაღებელი ანგარიშფაქტურების სია, საკრედიტო ბარათებისა და გაუნაღებელი ქვითრების სია, რაც კი აღმატებოდა XXX აშშ დოლარს. ჩვენ თანმიმდევრობით დავალაგეთ და შევამოწმეთ შემდგომში მიღებული ანგარიშფაქტურები, აგრეთვე შემდგომში გადახდილი საკრედიტო ბარათები და დავადგინეთ, რომ ისინი ფაქტობრივად ჩართული უნდა ყოფილიყო შედარების უწყისის დაუფარავი თანხების ჩამონათვალში.

გთავაზობთ აღმოჩენილი ფაქტობრივი მონაცემების შესახებ დასკვნას:

- ა) პირველ პუნქტთან დაკავშირებული საცდელი ბალანსის მატების თანხა სწორია და ემთხვევა მთლიან ჯამს;
- ბ) მეორე პუნქტთან დაკავშირებული შესადარისი თანხები ასევე ემთხვევა ერთმანეთს;
- გ) მესამე პუნქტთან დაკავშირებით მივიღეთ დასტური ყველა არსებული მომწოდებლისაგან;
- დ) მეოთხე პუნქტთან დაკავშირებული თანხები ემთხვეოდა ერთმანეთს. ხოლო იმ თანხებისთვის, რომლებიც არ ედრებოდა, ...კომპანიას მომზადებული ჰქონდა შედარების უწყისები და XXX აშშ დოლარზე მეტი ღირებულების საკრედიტო ბარათების, გაუნაღებელი ანგარიშფაქტურებისა და ქვითრებისათვის შესაბამისად გაკეთებული იყო შესაბამისობაში მოსაყვანი მუხლების სია შემდეგი გადახრებით:

(დეტალურად აღწერეთ გადახრები)

რადგან ზემოთ ჩამოთვლილი პროცედურები არც აუდიტის და არც მიმოხილვისთვის არაა განკუთვნილი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ან მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტების (ან ეროვნული სტანდარტებისა თუ პრაქტიკის) შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ არანაირ რწმუნებას მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილ ვალდებულებებთან დაკავშირებით ... თარიღისთვის.

რომ ჩაგვეტარებინა დამატებითი პროცედურები, ან ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ან მიმოხილვა, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ან მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტების (ან ეროვნული სტანდარტებისა თუ პრაქტიკის) შესაბამისად, ჩვენ ყურადღებას გავამახვილებდით სხვა საკითხებზე, რასაც წარმოვადგენდით სათანადო დასკვნის სახით.

ჩვენი დასკვნა მხოლოდ იმ მიზანს ემსახურება, რაზეც საუბარია დასკვნის პირველ პუნქტში და განკუთვნილია თქვენი ინფორმირებისათვის. ეს დასკვნა არ უნდა იქნეს გამოყენებული სხვა მიზნით, არც რომელიმე სხვა მხარეს არ უნდა გადაეცეს. ჩვენი დასკვნა ეხება მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ ბუღალტრულ ანგარიშებსა და მუხლებს და არ ეხება ...კომპანიის არც ერთ მთლიან ფინანსურ ანგარიშგებას.

auditori

თარიღი

მისამართი

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია® ანუ IFAC® ხელს უწყობს IAASB-ს ორგანიზაციული სტრუქტურისა და იმ პროცესების განხორციელების მხარდაჭერას, რომელსაც ეფუძნება IAASB-ს საქმიანობა.

IAASB და IFAC პასუხს არ აგებენ იმ ზარალზე, რომელიც განიცადა პირმა, წინამდებარე გამოცემაში გამოყენებული მასალის საფუძველზე მოქმედების ან თავის შეკავების შედეგად, მიუხედავად იმისა, რითი იყო გამოწვეული ეს ზარალი, დაუდევრობით თუ სხვა მიზეზით.

International Standards on Auditing (აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს), International Standards on Assurance Engagements (მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტებს), International Standards on Review Engagements (მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტებს), International Standards on Related Services (აუდიტთან დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებს), International Standards on Quality Control (ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებს), International Auditing Practice Notes (აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის შენიშვნებს), განსახილველ პროექტებს, საკონსულტაციო დოკუმენტებსა და IAASB-ს სხვა პუბლიკაციებს გამოსცემს IFAC და საავტორო უფლებაც IFAC-ს ეკუთვნის.

საავტორო უფლება © 2018 წლის დეკემბერი, ეკუთვნის IFAC-ს. ყველა უფლება დაცულია. პირადი ან არაკომერციული სარგებლობისთვის (ე.ი. პროფესიული ან კვლევის მიზნებისთვის) შესაძლებელია ამ სახელმძღვანელოს ორიგინალური ვერსიის უფასოდ გადმოწერა, ან ყიდვა www.iaasb.org ვებგვერდის მეშვეობით. ამ დოკუმენტის თარგმნის, გამრავლების, შენახვის, გადაცემის ან სხვა ანალოგიური წესით გამოყენებისთვის აუცილებელია IFAC-ის წერილობითი ნებართვა.

The ‘International Auditing and Assurance Standards Board’, ‘International Standards on Auditing’, ‘International Standards on Assurance Engagements’, ‘International Standards on Review Engagements’, ‘International Standards on Related Services’, ‘International Standards on Quality Control’, ‘International Auditing Practice Notes’, ‘IAASB’, ‘ISA’, ‘ISAE’, ‘ISRE’, ‘ISRS’, ‘ISQC’, ‘IAPN’ და ლოგო IAASB IFAC-ის სავაჭრო ნიშნებია, ან IFAC-ის რეგისტრირებული სავაჭრო და მომსახურების ნიშნებია აშშ-სა და სხვა ქვეყნებში.

საავტორო უფლების, სავაჭრო ნიშნებისა და ნებართვის შესახებ ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ მიმართოთ permissions ან დაგვიკავშირდეთ permissions@ifac.org.



529 Fifth Avenue, New York, NY 10017
T+1(212) 286-9344 F+1(212) 286-9570

www.iaasb.org

ISBN:978-1-60815-389-3